

# შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-01/09

თბილისი

“02“ თებერვალი 2017 წ.

2017-2018 სასწ/წ მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტის დამტკიცების, „სტუდენტი მიღწევების შეფასების წესში“ ცვლილების შეტანის და ახლის დამტკიცების შესახებ

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, შპს გთსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 2 თებერვლის სხდომის ოქმი №2 (ამონაწერი) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

### § 1

დამტკიცდეს შპს გთსუ-ში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის მისაღები კონტიგენტი:

**ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე**

- 100 ადგილი

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

1. რეკრეაციული ტურიზმი - 15 ადგილი
2. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 50 ადგილი
3. საბანკო საქმე - 25 ადგილი
4. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება

(ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბირმინგემის კოლეჯი - გთსუ)- 20 ადგილი

**სამართლის ფაკულტეტზე**

- 140 ადგილი

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

1. სისხლის სამართალი - 70 ადგილი
2. კერძო სამართალი - 70 ადგილი

**სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე**

- 20 ადგილი

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

1. მასობრივი კომუნიკაცია - 20 ადგილი

## § 2

შევიდეს ცვლილება რექტორის 2016 წლის 22 ივლისის №01-01/64 ბრძანებით დამტკიცებულ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში

**მე-7 მუხლის ფორმირება განხორციელდეს შემდეგი სახით:**

### 7. განსაკუთრებული შემთხვევები

- 7.1. მიმდინარე სემესტრის მეორე-მეთხუთმეტე კვირის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია შუალედური შეფასების კომპონენტებში (ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო) ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოთა რაოდენობის 50 %-ის აღდგენა.
- 7.2. მიმდინარე სემესტრის მე-10 კვირაში სტუდენტს შეუძლია სილაბუსით დაგეგმილი შუალედური შემოწმების კომპონენტში/კომპონენტებში მიღებული 50%-ზე ნაკლები შეფასების ამადლება.
- 7.3. შუალედური შემოწმებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია დეკანის მიერ განსაზღვრულ დროს, მომდევნო ოთხი კვირის განმავლობაში, აღადგინოს აღნიშნული კომპონენტი.
- 7.4. დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია დეკანის მიერ განსაზღვრულ დროს, მომდევნო სემესტრის აღმოფხვრას აკადემიური დავალიანება.

### 9. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

**მე-9 მუხლის ფორმირება განხორციელდეს შემდეგი სახით:**

სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს, კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.64 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის ხარისხის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს არაუმეტეს სამი სასწავლო კურსის გადაბარების უფლებით. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი იხდის სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლისთვის დადგენილ ღირებულებას.

GPA –ს საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის რეიტინგი და მას მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ადმინისტრაციის მიერ რაიმე სახის შეღავათების ან წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

### § 3

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ძველი (2013 წლის 10 დეკემბრის №01-01/65) და დამტკიცდეს ახალი შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის წერიტი ნაშრომების შესრულების სტანდარტი და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი.

- ✓ დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;
- ✓ ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

# შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 7 “ 22 “ ივლისი 2016 წელი

ბრძ. № 01-01/64 “ 22 “ ივლისი 2016 წელი

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2017 წლის 2 თებერვლის ბრძანება №01-01/09

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

თბილისი

## 1. ტერმინთა განმარტება

სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ბ) საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

გ) დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

ე) სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით;

ზ) სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

თ) სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

ი) შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

კ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

ლ) შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);

მ) შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე

## 2. სტუდენტის შეფასების სისტემა

2.1. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

2.2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, რაც გამოიხატება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2.3. პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო (სემესტრულ) შეფასებას.

2.4. შეფასების თითოეული ფორმა შეიძლება დაიყოს კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს; ეს უკანასკნელი შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს.

2.5. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნას შეფასების შემდეგი მეთოდები - ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრეზენტაციის წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში

მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის, სიტუაციური ამოცანის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა.

2.6. შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმი, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

2.7. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

2.8. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში განისაზღვროს 40 ქულით, შესაბამისად შუალედური შეფასების ხვედრითი წილი 60 ქულა იქნება.

2.9. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

2.10. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კერძოდ:

ა) დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს დასკვნითი შეფასების 50%-ით ანუ 20 ქულით.;

ბ) შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 31 ქულით. შუალედური შეფასების თითოეული კომპონენტის მინიმალური კომპეტენციების ზღვარი მოცემულია პ.პ. 4.2.1.- 4.2.3.

2.11. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

2.12. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

### 3. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

3.1. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასებები - 60 ქულით.

3.2. შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში სტუდენტი დააგროვებს შემდეგ კომპონენტებში:

ა) ზეპირი/წერილითი გამოკითხვა;

ბ) პრაქტიკული/თეორიული სამუშაო;

გ) შუალედური შემოწმება.

#### 3.3. შუალედური შეფასებების კომპონენტები:

3.3.1. ზეპირი/წერილითი გამოკითხვა - ფასდება 20 ქულით და გულისხმობს ლექციებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოებში (სემინარი, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, ქეისი, საკონტროლო წერა, ტესტური შემოწმება და სხვ.) სტუდენტის მონაწილეობა/ჩართულობასა და ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (დისკუსია, დებატი, ტესტი, ღია წიგნი და სხვ.) და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში. კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50%-ით ანუ 10 ქულით.

**3.3.2.** პრაქტიკული/თეორიული სამუშაო - (კაზუსი, რეფერატი, ნარკვევი, ესე, პროექტი, პრეზენტაცია და ა.შ.) ფასდება 10 ქულით. მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა, ჩატარებისა და შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში; კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50% პლუს 1 ქულით ანუ 6 ქულით.

**3.3.3. შუალედური შემოწმება** - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალოდ შეფასებაა, რომელიც სემესტრის მე-8 კვირაში ტარდება წერითი და/ან ზეპირი გამოცდის ფორმით და ფასდება 30 ქულით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში. კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს 50%-ით ანუ 15 ქულით.

#### **4. დასკვნითი გამოცდა**

4.1. დასკვნითი გამოცდა (წერითი და/ან ზეპირი ფორმით) ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

4.2. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას, კერძოდ:

4.2.1. ზეპირი/წერითი გამოკითხვის კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 10 ან მეტი.

4.2.2. პრაქტიკული/თეორიული სამუშაოს კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 6 ან მეტი.

4.2.3. შუალედური შემოწმების კომპონენტში დაგროვილი ქულა უნდა იყოს 15 ან მეტი.

4.3. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40.

4.4. დასკვნითი გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი.

4.5. თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი ტოლია ან აღემატება 41-ს ("Fx"), სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

4.6. თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.

4.7. დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

4.8. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემადგენელ ნაწილში უარყოფითი შეფასება (კრედიტის ვერ-მოპოვება) სტუდენტს „საკრედიტო დავალიანებად“ რჩება და აკისრებს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

#### **5. დამატებითი გამოცდა**

5.1. სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ.



5.2. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

5.3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

5.4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება „F” (ჩაიჭრა) - 0 ქულა.

5.5. დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა).

## 6. სემესტრული შეფასება

6.1. დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად სტუდენტი ვალდებულია, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების შედეგებით დააგროვოს **51 ქულა ან მეტი**.

6.2. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმეორედ გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.

6.3. სამაგისტრო ნაშრომის ან მის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, პრაქტიკის ანგარიშის, საპროექტო სამუშაოს შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) 2.1. პუნქტში გათვალისწინებული სქემის მიხედვით.

6.4. სამაგისტრო ნაშრომში (“Fx”), შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (“F”), შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

6.5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომდევნო სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე.

6.6. დამატებით გამოცდის გრაფიკს, დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

## 7. განსაკუთრებული შემთხვევები

7.1. მიმდინარე სემესტრის მეორე-მეთხუთმეტე კვირის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია შუალედური შეფასების კომპონენტებში (ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო) ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოთა რაოდენობის 50 %-ის აღდგენა.

7.2. მიმდინარე სემესტრის მე-10 კვირაში სტუდენტს შეუძლია სილაბუსით დაგეგმილი შუალედური შემოწმების კომპონენტში/კომპონენტებში მიღებული 50%-ზე ნაკლები შეფასების ამაღლება.

7.3. შუალედური შემოწმებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია დეკანის მიერ განსაზღვრულ დროს, მომდევნო ოთხი კვირის განმავლობაში, აღადგინოს აღნიშნული კომპონენტი.

7.4. დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია დეკანის მიერ განსაზღვრულ დროს, მომდევნო სემესტრის აღმოფხვრას აკადემიური დავალიანება.

(შევიდა ცვლილება რექტორის 2017 წლის 2 თებერვლის ბრძანება № 01-01/09).

## 8. სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასების (GPA) წესი

### 8.1. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე სასწავლო კურსებში მიღებულ ქულებთან ერთად შეიძლება განისაზღვროს ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:

$$\text{GPA} = (\sum \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე}) / \text{ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე}$$

სადაც, ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით:

$$\text{GPA} = \text{სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ქულა} \times 0,04$$

GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად.

მაგალითი.

ვთქვათ ორ 5 კრედიტიან სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასებებია 100 და 90 ქულა, მაშინ სასწავლო კურსების GPA შესაბამისად ტოლი იქნება  $0,04 \times 100 = 4$  და  $0,04 \times 90 = 3,6$ , ხოლო კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

$$\text{GPA} = (4 \times 5 + 3,6 \times 5) / 10 = 3.8$$

## 9. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სრული საგანმანათლებლო პროგრამის GPA განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის ხარისხს, კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.64 გაიცემა წარჩინების, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის ხარისხის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს არაუმეტეს სამი სასწავლო კურსის გადაბარების უფლებით. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი იხდის სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლისთვის დადგენილ ღირებულებას.

GPA –ს საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის რეიტინგი და მას მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ადმინისტრაციის მიერ რაიმე სახის შეღავათების ან წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

(შევიდა ცვლილება რექტორის 2017 წლის 2 თებერვლის ბრძანება № 01-01/09).

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2017 წლის 2 თებერვლის ბრძანება №01-01/09

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ვამტკიცებ

გურამ თავართქილაძის სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი

გ. მათიაშვილი

ბრძანება №01-01/09 10 თებერვალი 2017 წ.

სტუდენტის წერიტი ნაშრომის შესრულების  
სტანდარტი

თბილისი

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

- 1.1. წინამდებარე მოთხოვნები ვრცელდება შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო და ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ წერით ნაშრომზე (სამეცნიერო, საბაკალავრო, სამაგისტრო) თუ ნაშრომის სპეციფიკიდან ან უფლებამოსილი ორგანოს მარეგულირებელი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 1.2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები ინახება არქივში.

## **მუხლი 2. ზოგადი სტანდარტები**

- 2.1. **ენა:** წერითი ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ან რომელიმე უცხო ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური, სინტაქსური და პუნქტუაციური წესების დაცვით.
- 2.2. **ქაღალდი:** ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის თეთრ საბეჭდ ქაღალდზე, ორიენტაცია - ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, დიაგრამები, ფოტოსურათები იბეჭდება იმავე ან სხვა ზომის ფორმატზე.
- 2.3. **მინდორი:** მარცხნიდან 2,5 - 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 - 2 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2 სმ.
- 2.4. **შრიფტი:** ნაშრომი უნდა შესრულდეს შრიფტით - „sylfaen“ (უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში შესაბამისი შრიფტით). შრიფტის ზომა 12. თავებისა და პარაგრაფების დასახელება ზომით - 14, სტილი მუქი; ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა და სხვა - შრიფტით 10.
- 2.5. **სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის 1,5. მცირე ზომის სექციებისთვის (ცხრილი, სქოლიო, შენიშვნა და სხვა)- ინტერვალი 1.
- 2.6. **გვერდების ნუმერაცია:** ნაშრომი ინომრება სატიტულო (პირველი) გვერდიდან თანმიმდევრობით, არაბული ციფრებით. სატიტულო გვერდზე ნომერი არ აღინიშნება. გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 12.
- 2.7. **თავისა და პარაგრაფის სათაური:** ყველა თავისა და პარაგრაფის სათაური ჩართული უნდა აისახოს სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო პარაგრაფი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.
- 2.8. **ნაშრომში წყაროების მითითების ორი ფორმატი:**
  - 2.8.1. **სქოლიო:** სქოლიო ნაშრომის ფარგლებში შეიძლება განთავსდეს გვერდის ქვედა ნაწილში ან ნაშრომის ბოლოს. შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. სქოლიოში ლიტერატურული წყაროების მითითება განხორციელდეს შემდეგი სტილით:
    - **წიგნი:** ავტორის სახელი და გვარი ზუსტად ისე, როგორც წიგნის სატიტულო გვერდზეა წარმოდგენილი, სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი;  
თუ წიგნს ერთზე მეტი ავტორი ჰყავს, ზემოთ მოცემულ ფორმულირებაში მიეთითოს ყველა ავტორის სახელი და გვარი. თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, მიეთითოს მხოლოდ პირველი ავტორის სახელი, გვარი და სიტყვა „სხვები“.  
თუ წიგნის სატიტულო გვერდზე, ავტორის გარდა, მითითებულია რედაქტორი ან მთარგმნელი, მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი ისე, როგორც აღწერილია ზემოთ, ხოლო რედაქტორის ან მთარგმნელის სახელი და გვარი დაუმატეთ წიგნის სათაურის შემდეგ. თუ წიგნს მთარგმნელიც ჰყავს და რედაქტორიც, მიუთითეთ მათი სახელები და გვარები იმავე თანმიმდევრობით, როგორც წიგნის სატიტულო

გვერდზე. შენიშვნებში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით აბრევიატურა „რედ.“ ან „მთარგმნ.“ (ინგლისური წიგნების შემთხვევაში - „ed.“, „trans.“).

თუ წიგნის სატიტულო გვერდზე ავტორის ნაცვლად მითითებულია რედაქტორი ან მთარგმნელი, ავტორისთვის განკუთვნილ ადგილას დაწერეთ მისი სახელი და გვარი ისევე, როგორც დაწერდით ავტორის სახელსა და გვარს (იხ. ზემოთ), მაგრამ გვარის და სახელის შემდეგ დაურთეთ აბრევიატურა „რედ.“ („ed.“) (მრავლობითში „რედ.-ები“ „eds“) ან „მთარგმნ.“ („trans.“) (მრავლობითში „მთარგმნ.-ები“, „trans“). თუ რედაქტორი ან მთარგმნელი რამდენიმეა, იხელმძღვანელებთ პარაგრაფში „რამდენიმე ავტორი“ ჩამოყალიბებული პრინციპებით (იხ. ზემოთ).

თუ ორგანიზაციის, ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო გვერდზე არ არის მითითებული ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია როგორც გამომცემელი.

თუ ადგილი ექნება ავტორთან დაკავშირებულ შემთხვევებს, რომლებიც ზემოთ არ არის მოცემული, გამოიყენეთ ის მოდელი, რომელიც თქვენს შემთხვევასთან ყველაზე ახლოს იქნება;

- **სამეცნიერო სტატია:** ავტორის სახელი და გვარი, სტატიის სრული სათაური, ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, ნომერი, გვერდების ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია;
- **ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია:** ავტორის სახელი გვარი, „სტატიის სათაური,“ ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (გამოსვლის თარიღი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, ვებ-გვერდის მისამართი (წვდომის თარიღი);
- **ინტერნეტში განთავსებული და სხვა ელექტრონული წიგნები.** სტანდარტული ელემენტების გარდა აუცილებელია ვებ-გვერდის მისამართის და წვდომის თარიღის მითითება: ავტორის სახელი და გვარი, წელი, სათაური, გამოცემის ნომერი. გამომცემის ადგილი: გამომცემლობა. ვებ-გვერდის მისამართი (წვდომის თარიღი). სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.
- **ციტირება:** ტექსტის ციტირებული ფრაგმენტი, არა უმეტეს 900 სიმბოლოსი, უნდა განთავსდეს ბრჭყალებში, ხოლო ავტორი, წყაროს დასახელება, გამოქვეყნების თარიღი და გვერდი უნდა მიეთითოს სქოლიოში. თუ ციტირებისას გამოქვეყნების თარიღი ხელმისაწვდომი არ არის, უნდა მიეთითოს შემოკლება n.d.(no date);

**2.8.2. ტექსტში ჩართული მითითების ფორმატი.** მისი გამოყენებისას წყაროზე მითითება კეთდება ტექსტშივე, ციტატის ან პერიფრაზის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში [ავტორის გვარი, სახელი, გამოცემის თარიღი, ორი წერტილი და შესაბამისი გვერდების ნომერი].

**2.8.3. ერთ ნაშრომში დასაშვებია მითითების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმატის გამოყენება**

### **მუხლი 3. საბაკალავრო /სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:**

**3.1. სატიტულო გვერდი:** უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უნივერსიტეტის დასახელება (შრიფტის ზომა 14, სტილი მუქი);
- ფაკულტეტის დასახელება (შრიფტის ზომა 14, სტილი მუქი);
- კათედრა/სპეციალობა (შრიფტის ზომა 14, სტილი მუქი);
- საბაკალავრო/სამაგისტრო თემის დასახელება (შრიფტის ზომა 14, სტილი მუქი);
- სტუდენტის სახელი და გვარი (შრიფტის ზომა 14, სტილი მუქი);
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი აკადემიური ხარისხის მითითებით (შრიფტის ზომა 14, სტილი მუქი);

- ქალაქი (შრიფტის ზომა 12, სტილი მუქი);
  - წელი (შრიფტის ზომა 12, სტილი მუქი).
- 3.2. **სარჩევი:** შინარსი ასახავს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ანოტაციის, სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელების, გამოყენებული ლიტერატურის, დანართების გვერდების ნომრებს.
- 3.3. **ანოტაცია:** ანოტაცია ასახავს ნაშრომის ძირითად მიზანს, მოკლე შინაარსს მიღწეული შედეგებით. ანოტაცია უნდა დაიწეროს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს.
- 3.4. **შესავალი:** შესავალი ასახავს თემის აქტუალობას, დასახულ მიზნებს, ამოცანებს და კვლევის მეთოდებს. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 გვერდს.
- 3.5. **ტექსტის ძირითადი ნაწილი:** ტექსტის ძირითადი ნაწილი შედგება თავებისაგან, რომელთა დაყოფა შეიძლება პარაგრაფებად, პარაგრაფში კი შეიძლება გამოიყოს პუნქტები.  
ტექსტის ძირითად ნაწილში უნდა აისახოს:
- ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა;
  - პრობლემის კვლევა/ანალიზი;
  - მაგისტრანტის კვლევის შედეგები;
  - დასკვნები.
- 3.6. **საილუსტრაციო მასალა:** საილუსტრაციო მასალა შეიძლება ჩართულ იქნეს ტექსტის ძირითად ნაწილში ან დანართების სახით.
- 3.7. **დასკვნა :** დასკვნა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შედეგების ამსახველი ნაწილია. იგი მოკლედ უნდა პასუხობდეს ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.
- 3.8. **გამოყენებული ლიტერატურა:** ჩამონათვალი განთავსდება ნაშრომის ბოლოს და მოიცავს ყველა წყაროს, რომელიც მითითებულია სქოლიოში, ტექსტში მითითების ფორმატში და აგრეთვე წყაროებს, რომელთა გაცნობა მნიშვნელოვანი იყო საკვლევი საკითხის სიღრმისეული წვდომისთვის, მაგრამ არ მითითებულა უშუალოდ ნაშრომში. ჩამონათვალში წყაროთა განლაგება მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:
- ნორმატიული მასალა (არსებობის შემთხვევაში);
  - გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ანბანური თანმიმდევრობით (ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე. ინგლისური წყაროების შემთხვევაში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელისა და გვარის წინ ჩასვით „Edited by“, „Translated by“);
  - ინტერნეტში განთავსებული წყაროები და შესაბამისი პრაქტიკის მასალები.
- 3.9. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში თითოეული წყაროს მითითება ხორციელდება სქოლიოს ფორმატში მოცემული მითითებების ანალოგიურად, იცვლება მხოლოდ ავტორის მონაცემები - პირველად აისახება გვარი და შემდეგ სახელი.
- 3.10. აკინძული ნაშრომი ავტორმა უნდა წარადგინოს 1 ეგზემპლიარად, ხოლო ელექტრონული ვერსია CD კომპაქტ-დისკის სახით.

#### **მუხლი 4. წერთი ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წაყენებული მოთხოვნები**

- 4.1. ნაშრომის ციფრული ვერსია უნდა შესრულდეს კომპაქტ-დისკზე (CD).

- 4.2. ნაშრომის ტექსტური მასალა უნდა შესრულდეს Word-ის ან PDF ფაილის სახით. ხელით შესრულებული ჩანახატებისა და ნახაზებისათვის დასაშვებია ციფრული ფოტოგრაფირება.
- 4.3. წარმოდგენილ CD კომპაქტ-დისკს უნდა ჰქონდეს მუქი ფერის CD მარკერით შესრულებული წარწერა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
  - ფაკულტეტი, მიმართულება/სპეციალობა;
  - ავტორი;
  - ნაშრომის დასახელება.

#### **მუხლი 5. სტუდენტის წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტის ძალაში შესვლა**

- 5.1. სტუდენტის წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ძალაშია მისი გამოცემის თარიღიდან.

# შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ვამტკიცებ  
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი

გ. მათიაშვილი

ბრძანება №01-01/09 10 თებერვალი 2017 წ.

## სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

თბილისი



## **მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომი**

- 1.1. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
- 1.2. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა მინიმუმ 50 გვერდი.
- 1.3. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაცია, კვლევითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, კერძოდ:
  - დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას;
  - სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
  - ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.
- 1.4. სამაგისტრო ნაშრომისათვის მისანიჭებულ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

## **მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემა**

- 2.1. სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მესამე სემესტრის დასაწყისში, შესაბამისი კათედრის/პროგრამული მიმართულების მიერ განსაზღვრული თემატიკების ფარგლებში მოცემული თემების ჩამონათვალისაგან.
- 2.2. ამ პერიოდში ხდება მაგისტრანტისა და იმ პროფესორის მოსაზრებათა შეჯერება, რომელიც შემდგომ უხელმძღვანელებს მის სამაგისტრო ნაშრომს. ამისთვის მაგისტრანტს შეუძლია ისარგებლოს პროფესორის საკონსულტაციო საათებით.
- 2.3. მაგისტრანტს უფლება აქვს მესამე სემესტრის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მოითხოვოს არჩეული თემის დასახელების კორექტირება ან თემატიკის ჩამონათვალში ახალი დასახელების თემის დამატება.
- 2.4. მეოთხე სემესტრის დასაწყისში (არაუგვიანეს 1 კვირისა) სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებულ თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამტკიცებს რექტორი.

## **მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი**

- 3.1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გთსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
- 3.2. სამაგისტრო ნაშრომზე მომიჯნავე სპეციალობებში მუშაობისას შეიძლება დამატებით დაინიშნოს კონსულტანტი.
- 3.3. ხელმძღვანელი ვალდებულია:
  - 3.3.1. დაეხმაროს მაგისტრანტს სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დაზუსტებაში.
  - 3.3.2. პერიოდულად შეამოწმოს თემაზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას

მოსაზრებები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები.

3.3.3. განუმარტოს მაგისტრანტს უფლება-მოვალეობები.

3.3.4. გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება.

3.3.5. სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იქნეს:

- ნაშრომის სათაური;
- მაგისტრანტის ვინაობა;
- ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- მაგისტრანტის შრომისუნარიანობა და სხვა უნარ-ჩვევები;
- ნაშრომის ზოგადი შეფასება;
- ნაშრომის კათედრაზე წინასწარი განხილვის რეკომენდაციები;
- ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;
- დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

3.3.6. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოყოფს ახალ ხელმძღვანელს.

3.3.7. თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

**მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

4.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება შეფასების 100 ქულიან სისტემას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

4.2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად 4.1. პუნქტში გათვალისწინებული სქემის მიხედვით.

4.3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის მიერ.

## **მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა**

### **5.1. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა**

- 5.1.1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კათედრის/პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის და დეკანის გადაწყვეტილებით ინიშნება ნაშრომის წინასწარი განხილვა (წინასწარი დაცვა-აპრობაცია).
- 5.1.2. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარდგენა.
- 5.1.3. წინასწარ განხილვაზე სამაგისტრო ნაშრომს წარადგენს მაგისტრანტი.
- 5.1.4. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის კომისიის შემადგენლობას სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.
- 5.1.5. კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც კათედრის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
- 5.1.6. კომისია ნაშრომის განხილვისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:
  - ა) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
  - ბ) კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
  - გ) შესრულებული სამუშაოს მოცულობა.
- 5.1.7. წინასწარი განხილვის საფუძველზე კომისია თავის დასკვნაში, განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შესაძლო ვადებს. კომისიის დასკვნა აისახება კათედრის გაფართოებული სხდომის ოქმში.
- 5.1.8. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად, საჯარო დაცვამდე არა უგვიანეს ორი კვირისა, წარედგინება კათედრას/პროგრამულ მიმართულებას რეცენზირებისთვის.
- 5.1.9. თუ სამაგისტრო ნაშრომის დასრულება, საპატიო მიზეზის გარეშე, ვერ ხორციელდება შესაძლო ვადებში, მაგისტრანტი მიმდინარე სემესტრში არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე და მისი შეფასება განიხილება **F - „ჩაიჭრა“ - დ.**
- 5.1.10. საპატიო მიზეზით სამაგისტრო ნაშრომის შესაძლო ვადებში დაუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს, იმავე სამაგისტრო ნაშრომზე, მუშაობა გააგრძელოს შემდეგი ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.
- 5.1.11. საპატიო მიზეზით სამაგისტრო ნაშრომის განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს იმავე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა გააგრძელოს შემდეგი ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.
- 5.1.12. წინასწარი განხილვის შემდეგ, არა უგვიანეს ორი კვირისა მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს შესაბამის კათედრაზე/პროგრამულ მიმართულებაზე.
- 5.1.13. სამაგისტრო ნაშრომის საპატიო მიზეზით დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, სტუდენტი დაიშვება მხოლოდ დამატებით დაცვაზე.

### **5.2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება**

- 5.2.1. კათედრა/პროგრამული მიმართულება გამოყოფს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს.
- 5.2.2. რეცენზენტი შეიძლება იყოს, როგორც შესაბამისი პროფილის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.
- 5.2.3. რეცენზენტის გამოყოფა კათედრა/პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ფორმდება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით.

- 5.2.4. რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.
- 5.2.5. რეცენზენტი, დაცვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, წარმოადგენს ნაშრომზე წერილობით რეცენზიას დასკვნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესაძლებლობის შესახებ.
- 5.2.6. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
- ა) თემის აქტუალობა, ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია;
  - ბ) კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
  - გ) ნაშრომის შესრულების დონე.
- 5.2.7. რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო, თუმცა კომისიას ან მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა.
- 5.2.8. რეცენზენტის უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

### 5.3. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

- 5.3.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
- 5.3.2. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას დამსწრეთა 3/5-ის არსებობის შემთვევაში.
- 5.3.3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.
- 5.3.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ პუნქტი 4.1. მიხედვით.
- 5.3.5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
- სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას (15 წუთი);
  - კითხვა-პასუხს;
  - დისკუსიას;
  - შეფასებას.
- 5.3.6. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

N	სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის (ზეპირი პრეზენტაციის) შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასება 100 ქულა
1.	<b>პრეზენტაციის სტრუქტურა და ტექნოლოგია</b>	<b>10 ქულა</b>
	• პრეზენტაციის სტრუქტურა ( შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) კარგად არის დაბალანსებული და ლოგიკურია	7-10
	• პრეზენტაციის სტრუქტურა ( შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) დაბალანსებულია დამაკმაყოფილებლად	3-6
	• პრეზენტაციის სტრუქტურა დაუბალანსებელი და ნაკლებადლოგიკურია	0-2
2.	<b>ნაშრომის შინაარსი</b>	<b>30 ქულა</b>
	• კვლევის აქტუალობა, კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება მეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით და არგუმენტირებულად	25-30
	• კვლევის აქტუალობა, კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული	16-25

	თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად	
	• კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნაკლებად ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად	6-15
	• კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ბუნდოვნად	0-5
3.	<b>აუდიტორიასთან კონტაქტი</b>	<b>15 ქულა</b>
	• მთელი პრეზენტაციის მანძილზე სტუდენტს აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი	10-15
	• სტუდენტი ვერ ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს მთელი პრეზენტაციის განმავლობაში	5-9
	• სტუდენტი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან	0-4
4.	<b>გამოყენებული მასალა და მისი წარმოდგენა</b>	<b>20 ქულა</b>
	• ნაშრომში გამოყენებულია მრავალფეროვანი, რელევანტური, ინფორმატიული მასალა, რაც მიწოდებულია ეფექტურად. სტუდენტი მასალის წარმოდგენისას თავისუფლად და პროფესიულ დონეზე ფლობს აუდიტორიას	15-20
	• პრეზენტაციისათვის გამოყენებულია მრავალფეროვანი, რელევანტური, ინფორმატიული მასალა, რაც მიწოდებულია ეფექტურად. სტუდენტი კარგად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას	10-14
	• პრეზენტაციისათვის გამოყენებულია რელევანტური მასალა, რაც მიწოდებულია ნაკლებად ეფექტურად. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას	5-9
	• პრეზენტაციისათვის გამოყენებული მასალა მწირია, ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას სუსტად ფლობს	0-4
5.	<b>კითხვებზე პასუხი, დისკუსია</b>	<b>25 ქულა</b>
	• სტუდენტის პასუხები მართებული და არგუმენტირებულია, შეიმჩნევა საკითხის ფუნდამენტური და სიღრმისეული ცოდნა; პასუხის დროს სტუდენტი მტკიცედ და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ პოზიციას.	18-25
	• სტუდენტის პასუხები მართებული და არგუმენტირებულია, რაც ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტული და დამაჯერებელია.	13-17
	• სტუდენტის პასუხები დამაკმაყოფილებელია, აკლია არგუმენტირება და დამაჯერებლობა. ვერ ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტულია.	6-12
	• სტუდენტის პასუხები არადამაჯერებელი და/ან არამართებულია.	0-5

5.3.7. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს კომისიის სხდომა იხურება.

5.3.8. კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასების შესახებ მაგისტრანტებს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

5.3.9. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

5.3.10. ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტს და შეფასება შედის მაგისტრანტის სასწავლო ბარათში.

## მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

6.1. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (Fx) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით გასვლის უფლება.

6.2. სტუდენტს უფლება აქვს დამატებით დაცვაზე გავიდეს იმავე სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

- 6.3. თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შეადგენს 40 ქულას და ნაკლებს (F) სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე არ დაიშვება და მის შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.
- 6.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ გამოცხადების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით დაცვაზე.
- 6.5. საპატიო მიზეზით დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს იგივე სამაგისტრო ნაშრომი კათედრის რეკომენდაციის საფუძველზე დაიცვას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაფინანსების გარეშე.
- 6.6. უარყოფითი შეფასების მიღებისას მაგისტრანტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, კათედრის რეკომენდაციით, შეასრულოს იგივე სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს ნაშრომის ხელახალი მომზადება-დაცვა.
- 6.7. სტუდენტს, რომელმაც დადგენილ ვადებში ვერ დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

#### **მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი**

- 7.1. სამაგისტრო ნაშრომი გაფორმებული უნდა იქნეს „სტუდენტის წერითი ნაშრომების შესრულების სტანდარტის“ შესაბამისად.
- 7.2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული).

#### **მუხლი 8. პლაგიატი**

- 8.1. პლაგიატი - ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, კვლევის შედეგების და სხვა გამოყენება არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე).
- 8.2. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით დააფინანსოს ნაშრომის მომზადება.

#### **მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის ძალაში შესვლა.**

- 9.1. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.